ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 27

ქ. ცაგერი 31 მაისი 2011 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოვლენების შესახებ მოსახლეობისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16, 22-ე და 58[1] მუხლების შესაბამისად

1. გამოიცეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბიულეტენი“ გაზეთი „ლეჩხუმი“, როგორც ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალება.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა გაატარონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები „საინფორმაციო ბიულეტენის“ გამოცემისათვის საჭირო ორგანული და ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.
3. „საინფორმაციო ბიულეტენის“ გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი